GEH
GREEN - ENERGY HOLDING

შპს "გრინ – ენერჯი ჰოლდინგი"– ს

(ს/კ: 405734022)

მწვანე ობლიგაციების კომიტეტის სხდომის ოქმი N3

ქ. თბილისი 15 ივნისი, 2026

კომიტეტის სხდომა ჩატარდა 2026 წლის 15 ივნისს, 14:00 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი #70

სხდომას ესწრებოდა საზოგადოების მწვანე კომიტეტის ყველა წევრი:

- თავმჯდომარე/წევრი – გიორგი შუკაკიძე
- წევრი – ლაშა კახიშვილი
- წევრი – გიორგი მთიბელაშვილი
- წევრი - პლატონი ფხალაძე

დღის წესრიგი:

(1) **შპს „გრინ–ენერჯი ჰოლდინგის"** შვილობილი კომპანიის **შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას"** (ს/კ 404485188) მიერ 2024 წლის **„მწვანე დაფინანსების ჩარჩო დოკუმენტის"** *(შემდგომში „ჩარჩო დოკუმენტი")* შესაბამისად, **ჩარჩო დოკუმენტში** აღნიშნულ **„მწვანე პროექტებზე"** მოზიდული ფულადი სახსრების ათვისების ანგარიშის (შემდგომში ***„სახსრების ათვისების ანგარიშის"***) დამტკიცების შესახებ

კომიტეტმა განიხილა **შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას"** ფინანსური გუნდის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე წარმოდგენილი **სახსრების ათვისების ანგარიში,** რომელიც მოიცავს ინფორმაციას **მწვანე ობლიგაციების** გამოშვებით მიღებული ფინანსური რესურსის ალოკაციის შესახებ, კერძო, ჯამური თანხები, რაც მიმართულია შესაბამის მწვანე პროექტებზე (Eligible Green Projects) **ჩარჩო დოკუმენტში** აღწერილი თითოეული კატეგორიის მიხედვით, წილი, რომელიც გამოიყო არსებული შესაბამისი **მწვანე პროექტების** (Eligible Green Projects) რეფინანსირებისთვის; სახსრების ათვისების ანგარიში, ასევე მოიცავს ძირითადი მეტრიკების შესახებ ინფორმაციასაც, წლიური განახლებადი ენერგიის წარმოება, აშენებული ან რეაბილიტირებული განახლებადი ენერგიის ობიექტების სიმძლავრე, გაზომილი მეგავატებში;

გადაწყვეტილება,

თანდართული **სახსრების ათვისების ანგარიშის** მიხედვით, მწვანე ობლიგაციების გამოშვებით მიღებული თანხები მოხმარდა არსებულ არამწვანე ობლიგაციის (ISIN: GE2700604459) რეფინანსირებაზე. აღნიშნული არამწვანე ობლიგაციით თავის მხრივ განხორციელდა სესხის რეფინანსირება, რომელიც გამოყენებული იყო კაპიტალური ხარჯებისთვის (CAPEX), კერძოდ, მდინარის მოდინებაზე არსებული ჰიდროელექტროსადგურების – „საშუალა ჰესი 1", „საშუალა ჰესი 2" და „საშუალა ჰესი" – მშენებლობის დასაფინანსებლად. აღნიშნულით, აღსრულდა **მწვანე ობლიგაციების კომიტეტის** 2025 წლის 31 მარტის სხდომის ოქმი N2– ით მიღებული გადაწყვეტილება. სახსრების ათვისების ანგარიში მომზადებულია **ჩარჩო დოკუმენტის** და **მწვანე ობლიგაციების ემისიის** ფარგლებში და მის შესაბამისად.

ჰოლდინგის დირექტორს დაევალოს სახსრების ათვისების ანგარიშის გამოქვეყნება ორგანიზაციის ვებ-გვერდზე – edgeorgia.ge. მისი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, ისე როგორც ეს აღწერილია **ჩარჩოს დოკუმენტში.**

მწვანე ობლიგაციების საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის შესაბამისად, „მწვანე დაფინანსების ჩარჩოს" *ფარგლებში, მოზიდული წმინდა სახსრების მონიტორინგი და მართვა ხორციელდება* ***შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას"*** *ფინანსების გუნდის მიერ;*

გიორგი შუკაკიძე

ლაშა კახიშვილი

გიორგი მთიბელაშვილი

პლატონ ფხალაძე

ოქმი შედგენილია კორპორაციული მდივნის მიერ

ლიდა ონიანი